გაუმარჯოს კომუნიზმს — კაცობრიობის ნათელ მომავალს!

5 მაისი
ბეჭდვითი სიტყვის დღეა
საბჭოთა პრესის დღე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 87 (3571)

1968 წ. 5 მაისი. კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

*დღეს სრულდება 150 წლისთავი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადებიდან. ამ თარიღს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს.*



ნახ. გ. იაშვილისა.

# ბუდაპეშტი...

ბუდაპეშტის „ნეპშტადიონის" მინდორზე გაიმართა პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა ევროპის საფეხბურთო პირველობაზე უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: უნგრეთი: ფატერი, ნოვაკი, შოიმოში, იხასი, სიუჩი, მესეი, ფაზეკაში, გიორეჩი, ვარგა, ფარკაში, რაკოში; სსრ კავშირი: კავაზაშვილი, ისტომინი, შესტერნიოვი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ვორონინი, ანიჩკინი, მალოფეევი, ჩისლენკო, სტრელცოვი, ბანიშევსკი.

გაიმარჯვეს უნგრელებმა — 2:0. ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა ფარკაშმა. მატჩის მიწურულს გიორეჩმა გაიტანა მეორე ბურთი.



## არგენტინელთა პირველი ნაბიჯი

*ბუენოს-აირესი. ხუთშაბათს აქ გაიმართა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა საფეხბურთო თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ესტუდიანტეს დე ლა-პლატა" და ბრაზილიის „პალმეირასი". ანგარიში პირველ ტაიმში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ არგენტინელებმა თამაშის ბოლო წუთებზე ზედიზედ 2 ბურთის გატანა მოახერხეს და გაიმარჯვეს — 2:1. საპასუხო შეხვედრა ორი კვირის შემდეგ მოეწყობა.*

## სსრ კავშირის პირველობა

3 მაისს მოსკოვში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვისა და მინსკის. დინამოელთა შორის.

გამარჯვება წილად ხვდათ მოსკოველებს — 1:0. ბურთი გაიტანა ვშივცევმა.

გუშინ ქუთაისის „ტორპედო" მოსკოვში დამარცხდა „ლოკომოტივთან" — 2:5.

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ტყიბულის „მეშახტემ" ფრედ დაამთავრა თამაში იუევსკში ადგილობრივ „ზენიტთან" — 1:1, ხოლო ბათუმის დინამოელები დამარცხდნენ პერმის „ზვეზდასთან" — 0:2.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო" (მახაჩყალა) — „თერგი" (გროზნო) 0:0, „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „ვოლგა" (გორკი) 1:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 2:1, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 0:0, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „ვოლგა" (ულიანოვსკი) 0:5, „სტროიტელი" (უფა) — „შირაკი" (ლენინაკანი) 0:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0.

### III ქვეჯგუფი

2 მაისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

III ზონა. „არაზი" (ნახიჭევანი) — „დილა" (გორი) 0:3, „შრომითი რეზერვები" (კურსკი) — „სპარტაკი" (ბელგოროდი) 0:0, „უროჟაი" (სლავიანსკი) — „უროჟაი" (სვეტლოგრადი) 1:1, „ხიმიკი" (ნევინომისკი) — „ურალანი" (ელისტა) 3:1, „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) — „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) 1:1, „ხიმიკი" (ბალაკოვო) — „უროჟაი" (ლაბინსკი) 0:0, „ტრუდი" (ენგელსი) — „ტორპედო" (არმავირი) 1:0, „ენერგია" (ვოლჟსკი) — „უროჟაი" (მაიკოპი) 0:3, „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0.

IV ზონა. „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 2:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „არაქსი" (ეჩმიაძინი) 1:0, „უროჟაი" (დერბენტი) — „ტრუდი" (კასპიისკი) 4:1, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „მერცხალი" (მახარაძე) 0:0, „უროჟაი" (კრიმსკი) — „შუქურა" (ქობულეთი) 0:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „ირისთონი" (მოზდოკი) 2:0.

## ოლიმპიური პროგრამით

ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის პროგრამით ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და ავსტრიის გუნდები.

ფრანგებმა, რომლებიც მასპინძლობდნენ, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

## 6-11 მაისს

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობაში შედგება ფიზიოლოგიის, ბიომექანიკის, მორფოლოგიისა და ბიოქიმიის საკითხებისადმი მიძღვნილი X საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია.**

**სხდომები გაიმართება 10 საათიდან და 15 საათიდან.**

**6 მაისს პლენარული სხდომა დაიწყება 15 საათზე.**

# ბომონი: ბრენდეჯი უნდა გადადგეს!

*პარიზი, 4 მაისი. საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ჟან დე ბომონმა პრეს-კონფერენციაზე გააკრიტიკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, კერძოდ, მისი ხელმძღვანელის ევერი ბრენდეჯის მუშაობა. მან განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სათავეში უფრო ახალგაზრდა და ენერგიული ხელმძღვანელი უნდა იდგეს, რომელიც შეძლებს კომიტეტის 4-5 წევრთან ერთად უფრო ნაყოფიერად მოღვაწეობასო.*

*დე ბომონმა გაიხსენა, რომ ბრენდეჯი მუდამ წინააღმდეგი იყო ასეთი სახელმძღვანელო ტრესტის შექმნისა. სავალდებულოა, — თქვა მან, — რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს შორის უფრო მჭიდრო კავშირი არსებობდეს, ბრენდეჯს კი ჰგონია, რომ ის ერთი წარმოადგენს მთელს ოლიმპიურ მოძრაობას. დე ბომონმა განაცხადა, რომ მზადაა თავისი კოლეგების განკარგულებაში იყოს, თუ კი ისინი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად დაასახელებენ მას.*

*საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ პრეს-კონფერენციის მონაწილეებს გაახსენა, რომ მან გრენობლში მხარი არ დაუჭირა სამხრეთ აფრიკის გუნდის მონაწილეობას მეხიკოს ოლიმპიადაში. ბომონმა სინანული გამოთქვა იმის გამოც, რომ არ მიიღეს მისი წინადადება ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის ცალკეულ სპორტსმენთა მიწვევის თაობაზე.*

*— საფრანგეთი სხვა ქვეყნებთან, კერძოდ კი სსრ კავშირთან ერთად აქტიურად იბრძვის ევროპული თამაშების შემოღებისთვის, — თქვა დე ბომონმა.*

*მან პრეს-კონფერენციის მონაწილეებს აცნობა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს დე გოლს ელაპარაკა ბარონ დე კუბერტენის ნეშტის პანთეონში გადასვენების თაობაზე. დე გოლი თანახმაა ამ აზრისა. ახლა საბოლოო სიტყვა პარლამენტს ეკუთვნის.*

კარლ მარქსის დაბადებიდან 150 წლისთავის გამო

# სწორედ ამიტომ თამაშობდა...

ლენჰენი (ელენე დემუტი) კარლ მარქსის ოჯახის სული და გული იყო. იგი ზრდიდა მარქსების ბავშვებს, იყო მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. ოჯახში ეს ქალი ყველას უყვარდა და მისი, წესრიგის მკაცრი მომთხოვნისა, ყველას... ეშინოდა კიდეც.

კარლ მარქსმა ლენჰენს ჭადრაკის თამაში ასწავლა. მოწაფე მალე ისე დახელოვნდა, რომ მასწავლებელს მეტოქეობას უწევდა, ზოგჯერ უგებდა კიდეც. მარქსს თავდავიწყებით უყვარდა ჭიდილი ჭადრაკის დაფაზე, თამაშის დროს ძალიან იცვლებოდა: თუ პარტიას წააგებდა, გუნება წაუხდებოდა ხოლმე. მან არ იცოდა თამაშის დაწყების თეორიული ვარიანტები, მაგრამ საუკეთესო გაგრძელებას გულმოდგინე ანალიზით აგნებდა.

— ერთხელ, — იგონებს მარქსის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ვ. ლიბკნეხტი, — მავრმა (ასე უწოდებდნენ მარქსს ხუმრობით მისი ახლობელნი) მეგობრებს საზეიმოდ გამოუცხადა: ახალ გაგრძელებას მივაგენი, რომლითაც ყველას დაგამარცხებთო.

მეტოქენი დაუყოვნებლივ მიუსხდნენ მაგიდას. მარქსმა მართლაც ყველას მოუგო, მაგრამ მისმა მეგობრებმა ხარვეზი მოუნახეს ახალ გაგრძელებას. ლიბკნეხტმა მასპინძლის მეფის დამხობა რომ შეძლო, შუაღამე გადასული იყო. აღელვებულმა მარქსმა მეტოქეებს უთხრა: ბრძოლა დილის 11 საათიდან განვაგრძოთო.

„სრულ 11 საათზე, ლონდონისთვის ეს საკმაოდ ადრეა, მასთან ვიყავი, — გვიამბობს ლიბკნეხტი. — ქალბატონი მარქსი არ ჩანდა, ხოლო ლენჰენი უგუნებოდ შემხვდა. ვიდრე ვიკითხავდი, რაიმე ხომ არ შეგემთხვათ-მეთქი, შემოვიდა მავრი, ხელი გამომიწოდა და მაშინვე ჭადრაკი შემოიტანა".

მარქსმა პირველივე პარტიაში სძლია მეტოქეს. მას მთელი ღამე გაეთენებინა პოზიციის ანალიზში, რითაც ძალიან გაენაწყენებინა შინაურები, განსაკუთრებით კი მეუღლე და ლენჰენი. მალე ლიბკნეხტმა მეგობრის თამაშში სუსტი ადგილი მონახა და ბრძოლა ცვალებადი წარმატებით წარიმართა.

მეტოქენი ისე გაერთნენ, რომ შემოაღამდათ კიდეც.

— ახლა კი კმარა! — გამოუცხადა მოპაექრეებს ლენჰენმა ქალბატონ მარქსის დავალებით. ბრძოლა შეწყდა.

მარქსმა იცოდა, რომ ჭადრაკში დაოსტატებას მრავალი წლის დაუღალავი შრომა სჭირდება და არც განუზრახავს ეს. ჭადრაკის დაფასთან ბაექრობა მას გონივრული, აქტიური დასვენების უქეთილშობილეს საშუალებად მიაჩნდა და სწორედ ამიტომ თამაშობდა.

**თ. ნინოშვილი.**

**მწვრთნელის ტრიბუნა**

# ივარჯიშეთ ამ გეგმით

15 მაისიდან 15 ივნისამდე თბილისში ტარდება კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი მძლეოსნური კროსი. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადების მიზნით გთავაზობთ წვრთნის ორკვირიან ციკლს 500 (გოგონები და ქალები), 1000 (ჭაბუკები და ვაჟები) და 3000 (ვაჟები) მეტრზე მორბენალთათვის. მზადება უნდა ჩატარდეს ფიზკულტურის მასწავლებლების, ინსტრუქტორების, მეთოდისტების ხელმძღვანელობით.

## 500 მეტრზე მორბენალთა წვრთნის პირველი კვირის გეგმა

ორშაბათი. წვრთნის ძირითადი მიზანი: სისწრაფის ამტანობის განვითარება. დაჭურვის შინაარსი: 15 წუთს მსუბუქად რბენა; 3 წუთს 50 მეტრზე სწრაფად სირბილი; ხელების, ფეხების, სხეულის 10-15-წუთიანი ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები; 3-5-წუთიანი შესვენება. ძირითადი ვარჯიშების შინაარსი: 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში ნელი რბენა 100 მეტრზე; 50 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში 50 მეტრზე ნელი რბენა; 100 მეტრის ორჯერ გარბენა, შუალედში ნელი რბენა 100 მეტრზე; სირბილი 10 წუთის განმავლობაში.

სამშაბათი. დილის დაჭურვა და დასვენება.

ოთხშაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვის შინაარსი ამ დღესაც იგივეა, რაც ორშაბათს. ძირითადი ვარჯიშის შინაარსი: 100 მეტრის გარბენა სამჯერ, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 200 მეტრის ორჯერ გარბენა, შუალედში ნელი რბენა 100 მეტრზე; სირბილი 15 წუთს.

ხუთშაბათი. ხანგრძლივი (30-40 წუთი) თანაბარშენაცვლებითი რბენა დასერილ ადგილზე.

პარასკევი. დილის დაჭურვა და დასვენება.

შაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვის შინაარსი იგივეა, რაც ორშაბათს. ძირითადი ვარჯიშის შინაარსი: 50 მეტრის გარბენა ხუთჯერ, შუალედებში 50 მეტრზე მსუბუქი რბენა; 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე მსუბუქი რბენა; 50 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 50 მეტრზე ნელი რბენა; სირბილი 15 წუთის განმავლობაში.

კვირა. მსუბუქი, თანაბარზომიერი კროსი 50 წუთს.

### მეორე კვირის გეგმა

ორშაბათი. მიზანი: სისწრაფის ამტანობის განვითარება. დაჭურვის შინაარსი იგივეა, რაც წინა ორშაბათს. ძირითადი ვარჯიშის შინაარსი: 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში ნელი რბენა 100 მეტრზე; 200 მეტრის ორჯერ გარბენა, შუალედში ნელი რბენა 200 მეტრზე; 100 მეტრის ორჯერ გარბენა, შუალედში ნელი რბენა 100 მეტრზე. სერიებს შორის 3-5 წუთით შესვენება; ბოლოს 15-წუთიანი სირბილი.

სამშაბათი. დილის დაჭურვა და დასვენება.

ოთხშაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვის შინაარსი იგივეა, რაც ორშაბათს. ძირითადი ვარჯიში: 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში ნელი რბენა 100 მეტრზე; სამწუთიანი დასვენება. 300 მეტრზე რბენა; დასვენება 5-7 წუთი; 100 მეტრის ოთხჯერ გარბენა, შუალედებში ნელი რბენა 100 მეტრზე; სირბილი 20 წუთს.

ხუთშაბათი. თანაბარშენაცვლებითი რბენა ტყეში ან ველად 40-50 წუთს.

პარასკევი. დილის დაჭურვა და დასვენება.

შაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა ისეთივე, როგორც ორშაბათს. ძირითადი ვარჯიში. 50 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში ნელი რბენა 50 მეტრზე; 100 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში ნელი რბენა 100 მეტრზე; 50 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში 50 მეტრზე ნელი რბენა. სირბილი 20 წუთს.

კვირა. მსუბუქი კროსი თანაბარზომიერ ტემპში 40 წუთს.

## 1000 მეტრზე მორბენალთა წვრთნის პირველი კვირის გეგმა

ორშაბათი. მიზანი: სისწრაფის ამტანობის განვითარება. დაჭურვა: ხელების, ფეხების, სხეულის ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები 15-20 წუთის მანძილზე. 5 წუთით დასვენება. 60 მეტრზე სამჯერ სწრაფად რბენა. ძირითადი ვარჯიში: შენაცვლებითი სირბილი 100 მეტრზე ხუთჯერ, შუალედებში ნელი რბენა 100 მეტრზე; 300 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში 200 მეტრზე ნელი რბენა; 100 მეტრის ორჯერ გარბენა, შუალედში ნელი რბენა 100 მეტრზე; ფეხის წვერებზე სირბილი 20 წუთს.

სამშაბათი. დილის დაჭურვა და დასვენება.

ოთხშაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში: 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში სიარული 100 მეტრზე; 200 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში სიარული 100 მეტრზე; 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში სიარული 100 მეტრზე; რბენის სისწრაფე: 100 მეტრზე — 15-17 წამი, 200 მეტრზე — 32-34 წამი. რბენა ფეხის წვერებზე 20 წუთს.

ხუთშაბათი. თანაბარზომიერი, შენაცვლებითი რბენა ტყეში ერთ საათს.

პარასკევი. დილის დაჭურვა და დასვენება.

შაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში: 50 მეტრზე ხუთჯერ შენაცვლებითი სირბილი, შუალედებში მსუბუქი რბენა 50 მეტრზე; 100 მეტრის ათჯერ გარბენა, შუალედებში მსუბუქი რბენა 100 მეტრზე; 50 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში მსუბუქი რბენა 50 მეტრზე; სირბილის სისწრაფე უნდა უახლოვდებოდეს: 50 მეტრზე — 7-8 წამს, 100 მეტრზე — 14-16 წამს.

კვირა. ერთსაათიანი მსუბუქი კროსი.

### მეორე კვირის გეგმა

ორშაბათი. მიზანი: სისწრაფის ამტანობის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში: 100 მეტრის (16-17 წამში) შენაცვლებითი სირბილით სამჯერ გავლა, შუალედებში მსუბუქი რბენა 100 მეტრზე; 400 მეტრის ორჯერ გარბენა (1.12,0—1.18,0-ში), შუალედებში მსუბუქი რბენა 200 მეტრზე; 100 მეტრის (16 წამში) ორჯერ გარბენა. სერიებს შორის 3-5 წუთით დასვენება; ფეხის წვერებზე რბენა 10 წუთს.

სამშაბათი. დილის დაჭურვა და დასვენება.

ოთხშაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში: 100 მეტრის (15-16 წამში) ხუთჯერ გარბენა, შუალედებში სიარული; 200 მეტრის (31-32 წამში) ექვსჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე სიარული; 100 მეტრის (15 წამში) სამჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე სიარული; რბენა ფეხის წვერებზე 15 წუთს.

ხუთშაბათი. ტყეში ან მინდვრად ერთ საათს სირბილი თანაბარზომიერ, შენაცვლებით ტემპში.

პარასკევი. დილის დაჭურვა და დასვენება.

შაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში: შენაცვლებითი რბენა 50 მეტრზე ხუთჯერ, შუალედებში ნელი რბენა 50 მეტრზე; 100 მეტრის თორმეტჯერ გარბენა, შუალედებში ნელი რბენა 100 მეტრზე; 15 წუთს რბენა ფეხის წვერებზე.

კვირა. მსუბუქი რბენა ველზე ერთ საათს.

## 3000 მეტრზე მორბენალთა წვრთნის პირველი კვირის გეგმა

ორშაბათი. მიზანი: სისწრაფის ამტანობის განვითარება. დაჭურვა: ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები. ძირითადი ვარჯიში: შენაცვლებითი სირბილი 100 მეტრზე ხუთჯერ, შუალედებში მსუბუქი რბენა 100 მეტრზე; 300 მეტრის ათჯერ გარბენა, შუალედებში 200 მეტრზე მსუბუქი რბენა; 100 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა, 20-წუთიანი რბენა ტერფებზე.

სამშაბათი. დილის დაჭურვა და დასვენება.

ოთხშაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივეა, რაც ორშაბათს. ძირითადი ვარჯიში: 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 200 მეტრის თხუთმეტჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 100 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; ბოლოს რბენა 20 წუთს.

ხუთშაბათი. თანაბარზომიერი რბენა ტყეში (1-1,5 საათი).

პარასკევი. დილის დაჭურვა და დასვენება.

შაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში. 50 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 50 მეტრზე ნელი რბენა; 100 მეტრის ოცჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 50 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 50 მეტრზე ნელი რბენა; სირბილი 20 წუთს.

კვირა. ერთსაათიანი თანაბარზომიერი მსუბუქი კროსი.

### მეორე კვირის გეგმა

ორშაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. წვრთნის შინაარსი: 100 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 1000 მეტრის სამჯერ გარბენა, შუალედებში 400 მეტრის ნაბიჯით გავლა; 100 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; სერიებს შორის 5-8 წუთით შესვენება. სირბილი 20 წუთს.

სამშაბათი. დილის დაჭურვა და დასვენება.

ოთხშაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში: 100 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 200 მეტრის თხუთმეტჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 100 მეტრის ხუთჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა. სიარული 20 წუთს.

ხუთშაბათი. თანაბარზომიერ ტემპში რბენა (1,5 საათი).

პარასკევი. დილის დაჭურვა და დასვენება.

შაბათი. მიზანი: სისწრაფის განვითარება. დაჭურვა იგივე. ძირითადი ვარჯიში: 100 მეტრის 25-ჯერ გარბენა, შუალედებში 100 მეტრზე ნელი რბენა; 1000 მეტრის გარბენა. სირბილი 20 წუთს.

კვირა. დასვენება.

შენიშვნა: შეჯიბრებამდე 2 დღით ადრე გააკეთეთ დილის დაჭურვა, საღამოს — მოთელვა. შეჯიბრების დღეს ისაუზმეთ ასპარეზობამდე 2-2,5 საათით ადრე.

ა. მალიშკოვი,
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი.



მაისში გაიმართება დოსააფის რესპუბლიკური სპარტაკიადა. მასში მონაწილეობისთვის სამზადისს ქუთაისელი სპორტსმენები დიდი ხანია შეუდგნენ.

ს უ რ ა თ ზ ე: ტყვიის მსროლელების (მარცხნიდან) გ. ჯებაშვილის, უ. დინგოშვილისა და თ. სვანიძის ვარჯიშს თვალს ადევნებს მწვრთნელი თ. თოფურიძე.

ფოტო ჯ. ფხაკაძისა.

## ბიჭვინთელ მასპინძლებთან

„ბიჭვინთმშენის“ ტრესტის კომკავშირის კომიტეტმა საგაზაფხულო სპარტაკიადაში მონაწილეობის მისალებად მიიწვია გაგრის თევზის ქარხნის, თბილისის № 26 პროფტექნიკური სასწავლებლისა და თვით კურორტის წარმომადგენლები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „ბიჭვინთმშენის“ ტრესტის გუნდმა. მასპინძლები პირველნი იყვნენ ფრენბურთში, ფეხბურთში და მძლეოსნობის სახეობებში — ბირთვის კვრასა და ყუმბარის ტყორცნაში.

100, 400 და 800 მეტრზე რბენა მოიგეს თბილისის პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენლებმა გ. მამულაშვილმა და ა. შუანდერმა.

გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და საჩუქრები.

ვ. ჟურავსკი.

## ხულიგნები შორს სარბიელიდან!

**სპორტი ნაპერწკალი**? 

ამას წინათ თბილისში ჩატარდა უმცროსი და საშუალო ასაკის ჭაბუკთა საქალაქო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი დღევანდელი შენიშვნის თემას აღნიშნული შეჯიბრების ანალიზი არ წარმოადგენს. გვინდა მკითხველს წარვუდგინოთ შეჯიბრების უდისციპლინო მონაწილენი, რომელთა საქციელმაც ჩრდილი მიაყენა კარგ და სასარგებლო ტურნირს.

„ბურევესტნიკის“ წარმომადგენელმა გ. სინჯიკაშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შეჯიბრების მთავარ მსაჯს! სინჯიკაშვილმა პირველივე შეხვედრა წააგო. ეს ყველასთვის ცხადი იყო, მაგრამ ალვირახსნილმა მოჭიდავემ დამარცხების მიზეზებს ძებნა დაუწყო... მსაჯთა მაგიდასთან. მას განუმარტეს შეჯიბრების წესები, აუხსნეს, რომ მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა.

მომჩივარი, რა თქმა უნდა, ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა და სწორედ მაშინ მოხდა ის, რაზეც ზემოთ ვწერდით.

ამავე შეჯიბრებაში „თავი გამოიჩინა“ კიდევ ერთმა ბურევესტნიკელმა ვ. ზვიადაძემ, რომელმაც ლანძღვით აიკლო მსაჯთა კოლეგია. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში თბილისის ჭიდაობის ფედერაცია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და დამნაშავე მკაცრად დასაჯა (სინჯიკაშვილს 2 წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს), ზვიადაძეს ყველაფერი ხახვივით შერჩა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლომდე პრინციპული არც ფედერაციის წევრები იყვნენ, რომლებსაც სიტყვაც არ დასცდენიათ დამნაშავე სპორტსმენთა მწვრთნელებზე.

ვფიქრობთ, ამ საკითხს უფრო დაწვრილებით გაარჩევს და შეისწავლის „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა.

თ. ჩუბინიძე.

## რედაქციას გვწერენ

● **რატომაა კრივი კანონს გარეშე?**

შარშანწინ ჭიათურაში ჩამოყალიბდა კრივის სექცია, რომელსაც საქმის მცოდნე და ენერგიული ადამიანი ხელმძღვანელობდა. მაგრამ გაურკვეველი მიზეზებით მან დატოვა ქალაქი და სექციამაც არსებობა შეწყვიტა.

შარშან აქ შეიქმნა სექციები სპორტის მთელ რიგ სახეობებში, მაგრამ ჩვენს გულისტკივილს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ რიცხვში საყვარელი კრივი ვერ ვიხილეთ.

ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ დაგვეხმაროთ კრივის სექციის ჩამოყალიბებაში. რატომ უნდა იყოს სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა ჩვენს ქალაქში კანონს გარეშე?

ჭიათურის მე-8 საშუალო სკოლის მოსწავლეები.

● **მარტო ენთუზიაზმით ფონს ვერ გახვალ**

ბოლო წლებში მახარაძეში არა ერთი ნიჭიერი მოჭიდავე აღიზარდა. ახალგაზრდა მწვრთნელი კ. თავართქილაძე ენერგიასა და ცოდნას არ იშურებს, რათა ჭიდაობა ჩვენს ქალაქში მასობრივი და საყვარელი სპორტი გახდეს. მან აიყოლია კიდეც ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან უყოყმანოდ შეასრულონ მწვრთნელის ყოველი რჩევა-დარიგება.

მაგრამ სპორტსმენთა და მწვრთნელის ენთუზიაზმი საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. ენთუზიაზმის გარდა ნამდვილი წარმატებისთვის საჭიროა ბაზა — სპორტული დარბაზი, რათა ჭიდაობით გატაცებულებს საკუთარი ჭერი ჰქონდეთ. არა გვგონია, რომ ქალაქის ხელმძღვანელობას გაუჭირდეს სპორტსმენთა სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ი. ჩხარტიშვილი,
თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **სამბოში** — ე. ქარჩუსაშვილს, ს. ხიტაშვილს (ორივე — თბილისი); **ფარიკაობაში** — ზ. თავაძეს (ბათუმი); **ჭადრაკში** — გ. ჭანტურიას (ბათუმი); **ლელობურთში** — ნ. ყალაბეგაშვილს (გურჯაანი).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ტანვარჯიშში** — გ. ჯარკავას, ლ. მჭედლიძეს (ორივე — თბილისის „განთიადი“), ნ. ზიბზიბაძეს (თბილისის „დინამო“), ნ. გარდავას (ზუგდიდის „შრომითი რეზერვები“); **ფარიკაობაში** — ვ. ლაზარაშვილს (რუსთავის „სპარტაკი“), ნ. ლაბაძეს (რუსთავი, განათლების განყოფილება), ს. ივანოვს, ლ. კაციაშვილს (ორივე — რუსთავის „განთიადი“); **სამბოში** — თ. ფუხაშვილს (თბილისის „დინამო“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ბ. ღვალაძეს (თბილისის „დინამო“); **კლასიკურ ჭიდაობაში** — რ. თოდუას (სოხუმის „დინამო“); **ველოსპორტში** — მ. ხარაბაძეს (ქუთაისის „ბურევესტნიკი“), ბ. ჩუბინიძეს, ი. შალამბერიძეს (ორივე — ქუთაისის „განთიადი“), თ. ნინუას (სამტრედიის „კოლმეურნე“); **კრივში** — ს. საყვარელიძეს, ა. ზედაშიძეს, გ. კვიცარიძეს (სამივე — ქუთაისის „განთიადი“); **შაშში** — ს. პეტროვს (ბათუმის „დინამო“); **ჭადრაკში** — ჯ. მუკნიაშვილს (თბილისის „განთიადი“), მ. არჩვაძეს (სამტრედიის „ლოკომოტივი“); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — ჯ. თურმანიძეს (ბათუმის „დინამო“); **რეგბიში** — თ. რუხაძეს, გ. მიქაბერიძეს, თ. რუხაძეს, მ. გეგეშიძეს, ს. ხაჭაპურიძეს, ვ. სვანიძეს, ნ. ყიფიანს, დ. დავითაიას, გ. ტონიას, მ. ბენიაშვილს, ვ. ფეტვიაშვილს, გ. ფაჯიშვილს, გ. ლოლობერიძეს, გ. ინაურს, გ. ჯაფარიძეს, ზ. მგელაძეს, ა. ლობჟანიძეს, ზ. ხარშილაძეს, ჯ. ხუციშვილს (ყველა — თბილისის „ლოკომოტივი“); **საწყლოსნო-სათხილამურო სპორტში** — გ. ყიასაშვილს, ო. გოცირიძეს (ორივე — თბილისის „განთიადი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუდენტთა თამაშები

სტუდენტთა VI რესპუბლიკური თამაშები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. სპორტულ ტანმოვარჯიშეთა, მაგიდის ჩოგბურთელთა და მოჭადრაკეთა ტურნირების შედეგები უკვე გაგაცანით. ახლა აკრობატიკაში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, ჩოგბურთსა და ველორბოლაში გამართულ შეჯიბრებათა შესახებ გესაუბრებით.

## არბიტრებს ცოტა საქმე ჰქონდათ

აკრობატთა შეჯიბრებაში მხოლოდ ოთხი უმაღლესი სასწავლებლის — ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, გორის პედინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გუნდური ადგილებიც ამავე თანმიმდევრობით განაწილდა. ფიზკულტურის ინსტიტუტმა 466,83 ქულა დააგროვა, მეორე-მესამე პრიზიორების გუნდების ნადავლი კი 100-100 ქულაც არ იყო (შესაბამისად 85,5 და 85,14). შეჯიბრებას 17 მსაჯი ემსახურებოდა. 17 არბიტრი თავისუფლად გასწვდებოდა 100—200 მონაწილესაც, მაგრამ სარბიელზე მხოლოდ 25 სპორტსმენი გამოვიდა — 15 ვაჟი და 10 ქალი. უცნაური კია: იმ ინსტიტუტებში, სადაც სპორტული ტანვარჯიში სათანადო დონეზე დგას, რატომ არ უნდა იყოს განვითარებული აკრობატიკაც?

გაგაცნობთ პირადი შეჯიბრების შედეგებს. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს შერეულ წყვილებში ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე ე. ნიაზაშვილმა და ფ. ვოლჩენკომ (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომლებმაც 143,45 ქულა დააგროვეს და პირველობაც დაისაკუთრეს.

მაგრამ ზოგიერთმა გამარჯვებულმა სათანრიგო ნორმატივიც კი ვერ შეასრულა და გუნდს ჩათვლაც ვერ მისცა. დავასახელოთ, თუნდაც, გ. ჭელიძე (66,3). ამასთან, ხტომაში პირველთანრიგოსანთა პროგრამით მხოლოდ ეს ერთი ქალი გამოვიდა და იგი... თავისთავს ეჯიბრებოდა. ძალისმიერ წყვილთა შეჯიბრება I თანრიგის პროგრამით მოიგეს გორელმა სტუდენტებმა რ. ტაბატაძემ და ფ. მესროფიშვილმა. პირველობა პირველობად, მაგრამ 100,05 ქულით მათ სათანრიგო ნორმატივიც ვერ შეასრულეს.

დანარჩენ გამარჯვებულთა შედეგები ასეთია: ხტომა. ვაჟები. ოსტატთა პროგრამა — ს. პანკინი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 74,0; I თანრიგის პროგრამა — შ. ლებანიძე (თსუ) — 71,25; ძალისმიერი წყვილები. ოსტატთა პროგრამა — თ. ლომთაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ვ. გაფრინდაშვილი (თსუ) — 142,85; ოსტატობის კანდიდატთა პროგრამა. გ. მარგიშვილი (თსუ), ს. დელიბტოვი (მოსწავლე) — 74,2. შერეული წყვილები. ოსტატობის კანდიდატთა პროგრამა. დალი მამალაშვილი (მოსწავლე), ა. მელიქიანი (თსუ) — 73,45.

უკონკურსოდ მონაწილე ძალისმიერმა ოთხეულმა (ა. ბესტაევი, გ. ნატროშვილი, თ. მიქავა, თ. ქუმსიშვილი) 273,30 ქულა დააგროვა.

## გაიმარჯვა კაკულიას გუნდმა

ჩოგბურთელთა გუნდურ ასპარეზობაში შედარებით ხალხმრავლობა იყო: პირველობისთვის ბრძოლაში 7 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი ჩაება. ფინალისკენ გზა იოლად გაიკვლიეს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. ინსტიტუტელებს პირველ წრეში მეტოქე არ ჰყავდათ და ბრძოლა პირდაპირ ნახევარფინალიდან დაიწყეს. აქ მათ მოუგეს უცხო ენათა ინსტიტუტის წარმომადგენლებს — 5:1.

უნივერსიტეტის სპორტსმენებმა ფინალის გზაზე ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი დაამარცხეს (5:1), შემდეგ კი, ძალიან დაძაბულ ბრძოლაში, — ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი (5:4).

ფინალში პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს — 5:2. გუნდის ღირსებას იცავდნენ თ. კაკულია, პ. აბაშკინი, ვ. ასათიანი, ტ. ფარსადანოვა და მ. რიაზანოვა.

III-IV ადგილებისთვის შეხვედრაში ფიზკულტურის ინსტიტუტის ჩოგბურთელებმა დაამარცხეს უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდი — 5:1.

## ხუთმა კოლექტივმა ჩათვლა ვერ მიიღო

საშოსეო ველორბოლაში ჩათვლა მიეცა მხოლოდ სამ გუნდს — პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტების კოლექტივებს. გუნდური ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა. ქუთაისის, ცხინვალისა და თბილისის პედინსტიტუტების, უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ველოსიპედისტებს ჩათვლა არ მიუღიათ.

ძალიან დაბალი იყო პირადი შეჯიბრების შედეგებიც. დაყოფილი სტარტით 15 კილომეტრზე რბოლაში სულ 10 ქალი ჩაება. გაიმარჯვა ა. დოლგოპოლოვამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც მხოლოდ II თანრიგის შედეგი აჩვენა — 25.43. ვაჟები დაყოფილი სტარტით 25 კილომეტრზე რბოლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ მონაწილეთა რაოდენობა ზუსტად ოთხჯერ მეტი იყო, მაგრამ გამარჯვებული ვ. აფშილავა (სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი) III თანრიგის მაჩვენებლით მივიდა ფინიშთან — 40.05.

20 კილომეტრზე ქალთა გუნდურ რბოლაში 4 გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა — დოლგოპოლოვამ, ჩუგუნოვამ და კრივოლაპოვამ. მათი დრო 34.12, მაგრამ ეს შედეგი III თანრიგის ნორმაც არ არის.

50 კილომეტრზე ვაჟთა გუნდურ რბოლაში 8 გუნდიდან უძლიერესი აღმოჩნდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები (მალხასიანი, ლომიძე, ქობალია, ზელენკევიჩი), რომელიც II თანრიგის მაჩვენებელს დასჯერდა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.



სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდურ პაექრობაში მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ნაკრებს თავკაცობდა. იგი ვაჟების პირველ დაფაზე თამაშობდა და, მიუხედავად ამისა, ყველა შეხვედრა მოიგო.

* * *

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილი ეთამაშება გორის პედინსტიტუტის წარმომადგენელს ზ. თოთლაძეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## გორელ მოჭიდავეთა წარმატება

გორში გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო ინსტიტუტების, აგრეთვე, გორისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები.

კარგი მომზადება გამოამჟღავნეს ტურნირის მასპინძლებმა — გორელებმა, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს და პირველობაც მოიპოვეს. II ადგილი წილად ხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს, ხოლო III — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭიდავეებს.

## ჩემპიონები... ნოლი ქულით

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მოცურავეები სტუდენტთა საკავშირო თამაშებში მუდამ უხეიროდ გამოდიოდნენ და ტრადიციას არც VI რესპუბლიკურ თამაშებში უღალატეს. თბილისის დახურულ აუზში გამართულ შეჯიბრებაში ჩაებნენ მხოლოდ თბილისის 6 უმაღლესი სასწავლებლის — უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, სამედიცინო, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და კონსერვატორიის გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში II თანრიგისა და უკეთესი მაჩვენებლები შედიოდა. მიუხედავად ამისა, ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ა. კონდაკოვამ, ე. მძინარიშვილმა და ვ. დანილოვამ ჩემპიონობა ისე მოიპოვეს, რომ გუნდისთვის არც ერთი ქულა არ მიუციათ (?!). დანარჩენ სახეობებში გამარჯვებულნი მხოლოდ II თანრიგის შედეგს დასჯერდნენ. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გამარჯვებული, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრი გ. ჭიქიძე (შესაბამისად, 1.18,0 და 2.54,9) და ამავე დისტანციებზე გულაღმა ცურვაში უძლიერესი, ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი ა. სარქისოვი (შესაბამისად 1.12,4 და 2.43,4).

ყოველივე ამასთან ძალიან მცირე იყო მონაწილეთა რიცხვი, განსაკუთრებით, ქალთა შეჯიბრებებში. მაგალითად, 100 მეტრზე გულაღმა ცურვის სტარტზე სულ ორი, ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაით, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, გულაღმა და კომპლექსურ ცურვაში თითო გოგონა გამოვიდა. 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა ესტაფეტაში მეტოქე არ ჰყავდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვარტეტს.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 7915 ქულა, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი — 5939, 3. უნივერსიტეტი — 1231.

კონსერვატორიის გუნდმა სამი დღის მანძილზე ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა.

თამაშების ჩემპიონები გახდნენ: ქალები. 100 და 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — ვ. შამუგლაშვილი (სპი) — 1.14,5 და 2.51,7; 100 და 200 მ ბრასით — ზ. ლუბჩინკა (სპი) — 1.33,7, და 3.27,1; 100 მ ბატერფლაით — ა. კონდაკოვა — 1.36,7; 100 და 200 მ გულაღმა — ვ. დანილოვა — 1.41,8 და 3.39,4; 200 მ კომპლექსურ ცურვაში — ე. მძინარიშვილი (ფიზკ. ინსტ.) — 3.24,2; ესტაფეტაში 4×100 მ თავისუფალი სტილით — სპი — 4.41,9; კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მ — ფიზკულტურის ინსტიტუტი—6.15,2. ვაჟები. 100 და 200 მ თავისუფალი სტილით — ვ. შჩუკინი (ფიზკ. ინსტ.) — 1.03,6 და 2.29,1; 100 მ ბატერფლაით — გ. მურზინი (თსუ) — 1.18,1; 200 მ კომპლექსური და 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში—ვ. კონანოვი (ფიზკ. ინსტ.) — 2.42,1 და 5.27,1; ესტაფეტაში 4×100 მ თავისუფალი სტილით — სპი — 4.23,9; კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მ — ფიზკულტურის ინსტიტუტი — 4.48,8.

„ლელოს“ ბრიგადა.



სურათზე: გ. ჭიქიძე და ვ. შამუგლაშვილი ასპარეზობის შემდეგ.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

# დაწინაურდნენ მასპინძლები

დევისის თასის წლევანდელი გათამაშების ევროპის ზონის „ა“ ჯგუფში სსრ კავშირის ჩოგბურთელებს პირველი მატჩი საბერძნეთის წარმომადგენლებთან მოუწიათ. ამასთან, თბილისში, ჩვენი ქვეყნის პირველი ჩოგბურთელის ა. მეტრეველის მშობლიურ ქალაქში. ეს გათამაშება მოყვარულ ჩოგბურთელთა დიდმნიშვნელოვანი გუნდური შეჯიბრებაა და მას მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ. თვით მეტრეველი იშვიათი სტუმარია თავისი ქალაქისა და ალბათ თბილისელებს უფრო ნაკლებად უნახავთ კორტზე, ვიდრე ჩოგბურთის მოსკოველ და უცხოელ მოყვარულებს. ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი ინტერესი, რომელიც ჩვენმა მაყურებელმა გამოიჩინა პარასკევს თბილისში დაწყებული მატჩისადმი.

მატჩის გახსნის ცერემონიალის შემდეგ კორტზე გამოვიდნენ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი თ. ლეიუსი და საბერძნეთის პირველი ჩოგანი ნ. კალოგეროპულოსი. პირველი პარტიის დასაწყისი იმედიანი გამოდგა: მძიმე ბრძოლაში ლეიუსი დაწინაურდა — 2:0. მას თითქოს მესამე გეიმიც უნდა მოეგო, მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობა დიდხანს ვერც ერთმა ვერ მოიპოვა. ბოლოს კალოგეროპულოსმა იმარჯვა — 1:2. ეს გეიმი რომ მოეგო, ლეიუსს პარტიაში გამარჯვება აღარ გაუძნელდებოდა. მაგრამ ბრძოლა გაჭიანურდა — მეტოქენი ფრთხილობდნენ და მხოლოდ თავის მოწოდებაზე იბრძოდნენ გაბედულად. ერთი სიტყვით, მთავარი ეს იყო: ვინ ვის დაღლიდა. ფიზიკურად ლეიუსი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მან ზედიზედ 2 გეიმი მოუგო მეტოქეს და პირველი ხელი თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 10:8. პარტია ზუსტად ერთ საათს გაგრძელდა. მან ცხადყო, რომ ბერძენი სპორტსმენი სახიფათო მეტოქეა. ლეიუსმა მეორე პარტიაში პირველი ორი გეიმი ზედიზედ წააგო, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გაათანაბრა და დაწინაურდა კიდეც — 4:3. მას მომდევნო გეიმის მოგებაც შეეძლო, მაგრამ სწორედ გადამწყვეტ მომენტში უღალატა ნერვებმა. შეიძლება ითქვას, რომ ლეიუსმა მოგებული პარტია გაუშვა ხელიდან — 4:6. შემდეგ მან მეტოქეს მთლიანად დაუთმო ინიციატივა, ორ მომდევნო პარტიაშიც დამარცხდა (4:6, 1:6) და საბოლოოდ სამსაათიანი ბრძოლა წააგო.

კორტზე გამოვიდნენ ა. მეტრეველი და საბერძნეთის მეორე ჩოგანი პ. გავრილიდისი. პირველი პარტიის 4 გეიმი ურთიერთ დაზვერვას ჰგავდა: ორივე ჩოგბურთელი უკანა ხაზზე თამაშობდა და ბადესთან გასვლას ან სხვა რაიმე ტაქტიკური ხერხის გამოყენებას არ ცდილობდა. ოთხი გეიმი დამთავრდა ფრედ — 2:2. ამის შემდეგ თბილისელი მთელი ძალით ათამაშდა, ბადესთან გასვლით, სიგრძივი თუ განივი მზაკვრული დარტყმებით გააოგნა მეტოქე და პარტია მოგებამდე მიიყვანა — 6:2.

არც მეტრეველს და არც მის თბილისელ თაყვანისმცემლებს ამ ბოლო ხანს ბედი არ წყალობთ. შარშან შემოდგომით კოკისპირულმა წვიმებმა ინტერესი დაუკარგა თბილისის საერთაშორისო ტურნირს. ახლაც ასე მოხდა. მეორე პარტიის დასაწყისში მაისმა მაისობა არ მოიშალა და მხაპუნა წვიმა წამოვიდა. გათამაშდა მხოლოდ ორი გეიმი და როცა ანგარიში იყო 1:1, შეხვედრა მეორე დღისთვის გადაიდო. გუშინ დილით მატჩი განახლდა. მეტრეველმა შეწყვეტილი პარტია სწრაფად მოიგო (6:4). ამას მოჰყვა გამარჯვება მესამე პარტიაშიც (6:3) და მატჩში ანგარიში გათანაბრდა—1:1.

ჯ. ენუქიძე.

## გუშინ...

საღამოს დამთავრდა წყვილთა შეხვედრა. ა. მეტრეველმა და ს. ლიხაჩოვმა დაამარცხეს ბერძნების დუეტი: კალოგეროპულოსი—გავრილიდისი — 6:4, 4:6, 6:8, 7:5. ამრიგად, დაწინაურდნენ მასპინძლები — 2:1.



# ახალი სახეობა

ინგლისში გაჩნდა სპორტის ახალი სახეობა — საწყლოსნო მარხილი. ფიბროგლასისგან დამზადებული მარხილი 13 კილოგრამს იწონის, სიგრძით კი მეტრნახევარია.

მძღოლს ბერკეტის ერთი შემობრუნებით შეუძლია სასურველ გზაზე დააყენოს მარხილი, რომელიც კატარღას მიჰყავს ბუქსირით. ეს ახალი, მიმზიდველი სახეობა სპორტსმენისგან დიდ ოსტატობას და მოქნილობას მოითხოვს.

ს უ რ ა თ ზ ე: საწყლოსნო მარხილის გამოცდა.

ფოტო აპ-ააბ-ისა.

# შეხვედრები ფინიშის ზღურბლზე

**საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ: გ. გურგენიძე, თ. ლომაია — 8-8 ქულა, რ. ჯინჯიხაშვილი, ზ. მიქაძე — 7,5-7,5, ა. ბოკუჩავა — 7, გ. კალატოზიშვილი, ე. უბილავა — 6-6.**

**VIII ტური.** ჯინჯიხაშვილი — თ. დეკანოზიშვილი 1:0, გ. მუკნიაშვილი (გორი) — თ. გიორგაძე 0:1, ს. მეგრელიშვილი — ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) 0,5:0,5, გ. მაჭავარიანი — მ. არჩვაძე (სამტრედია) 0,5:0,5, ლომაია — კალატოზიშვილი 1:0.

ყველა ინტერესით ადევნებდა თვალს ლიდერთა შეხვედრებს. ჯინჯიხაშვილი სწრაფად გაუსწორდა დეკანოზიშვილის გვირგვინოსანს, გურგენიძე მეთოდურად უტევდა წერეთლის პოზიციას, მიქაძე და ბოკუჩავა კი მანევრირებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

— ლომაიას პაიკი აკლია, მაგრამ აქტიური ფიგურები აქვს, — ასე აფასებდნენ ლიდერთა პოზიციას, როცა კალატოზიშვილი უხეშად შეცდა: მან ვერ შეამჩნია მხედრის დაკარგვა. საქმეს ვერც ორ ფიგურაში ლაზიერის დათმობამ უშველა.

გადადებული პარტიების დამთავრება. VI ტურის: ჯინჯიხაშვილი— გიორგაძე 0,5:0,5, მუკნიაშვილი — მეგრელიშვილი 0,5:0,5; VII ტურის: თოთლაძე — ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, კალატოზიშვილი — გურგენიძე 0,5:0,5, ა. წერეთელი — მიქაძე 0:1, დეკანოზიშვილი — მაჭავარიანი 0:1; VIII ტურის: უბილავა — თოთლაძე 1:0, ბოკუჩავა — მიქაძე 0,5:0,5, გურგენიძე — წერეთელი — 1:0.

აღსანიშნავია გურგენიძის ვირტუოზული თამაში კალატოზიშვილთან მხედრების ენდშპილში და იერიში წერეთლის მეფეზე.

ჩვეულ ფორმაში შედის ახალგაზრდა ოსტატი უბილავა. თოთლაძესთან მან დამაჯერებლად გამოიყენა მცირე უპირატესობა.

დიდი მონდომებით თამაშობს მიქაძე. ორ შეხვედრაში შავებით მან ქულანახევარი მოაგროვა.

**IX ტური.** არჩვაძე — ჯინჯიხაშვილი 1:0, დეკანოზიშვილი — უბილავა 0:1, თოთლაძე — მუკნიაშვილი 0:1, გიორგაძე — მეგრელიშვილი 1:0, კალატოზიშვილი — მაჭავარიანი 1:0, მიქაძე — გურგენიძე 0,5:0,5, ბოკუჩავა — ბრეიტმანი 0,5:0,5.

ჯინჯიხაშვილმა წააგო! — ეს ამ დღის დიდი სიურპრიზი გახლდათ. საქართველოს ჩემპიონს თითქოს კარგი პოზიცია ჰქონდა პაიკის მოგების შემდეგ, მაგრამ არჩვაძემ შეძლო მძაფრი იერიშის წამოწყება, რამაც მყისვე შეატრიალა თამაშის ბედი. ეს ჯინჯიხაშვილის პირველი დამარცხებაა.

სხვა ლიდერებმა კი სატურნირო მდგომარეობა განიმტკიცეს. ლომაია წერეთელთან მთელი საღამო იბრძოდა, მაგრამ დააღწია თუ არა თავი სიძნელეებს, ეს მხოლოდ გადადებული პარტიების დამთავრების დღეს გაირკვევა.

უბილავამ ზედიზედ მეოთხე პარტია მოიგო და ლიდერებს კვალში ჩაუდგა.

**X ტური.** ჯინჯიხაშვილი — კალატოზიშვილი 1:0, უბილავა — არჩვაძე 1:0, ბრეიტმანი — გიორგაძე 1:0, ბოკუჩავა — გურგენიძე 0,5:0,5, მაჭავარიანი — წერეთელი 1:0, მუკნიაშვილი — დეკანოზიშვილი 1:0.

ბოკუჩავა — გურგენიძის პარტიაში მხოლოდ 15 სვლა გაკეთდა და ეს ზავისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მეტოქეებმა ერთმანეთს ხელი შეუწყვეს, მაგრამ მათი მოცილენი უფრო აგრესიულად იყვნენ განწყობილი.

ჯინჯიხაშვილმა მეთოდური თამაშით მეტისმეტად შეავიწროვა კალატოზიშვილი. ცენტრში კონტროლის დაკარგვის შემდეგ ამ უკანასკნელის მდგომარეობა ერთობ გაუარესდა. მალე იგი დანებდა, თუმცა დამცველი ფიგურები ჯერ კიდევ დაფაზე ეწყო. პოზიციური თამაშის თვალსაზრისით ეს პარტია ერთ-ერთი საუკეთესოა ტურნირში.

ლომაიას და მიქაძეს თამაშისთვის განკუთვნილი დრო არ ეყოთ. გადადებულ პარტიაში ლომაიას პირველი მარცხის საფრთხე ემუქრება: მას ხარისხი აკლია.

უბილავამ არც ამ დღეს დაიშურა მონდომება.

პირველი ქულა ჩაიწერა ბრეიტმანმა. გიორგაძე უმწეო იყო პარტიის მეორე ნახევარში. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მოჭადრაკემ თავი ვერ დააღწია წინა შეხვედრებში დაშვებული შეცდომების შთაბეჭდილებას.

გადადებული პარტიების დამთავრება. IX ტურის: წერეთელი — ლომაია 0,5:0,5; X ტურის: ლომაია — მიქაძე 0:1, მეგრელიშვილი — თოთლაძე 1:0.

ლომაიამ წერეთლის ზედმეტი პაიკის უვნებელყოფა შეძლო და ყაიმს მიაღწია, მაგრამ მიქაძესთან წააგო.

მოჭადრაკეები ფინიშის ზღურბლს მიაღწნენ: წინაა ხუთი გადამწყვეტი ტური.

თ. გიორგაძე.



## პირველი სერიის პასუხები

**1. I ოლიმპიური თამაშები გაიმართა 1896 წელს ათენში (საბერძნეთი).**

ოლიმპიური თამაშების დასაბამი შორეულ ისტორიულ წარსულს მიეკუთვნება. პირველი სარწმუნო ცნობები დათარიღებულია 776 წლით (ჩვენს ერამდე). თამაშები ჯერ კიდევ მაშინ იმართებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. გამარჯვებულთ ზეთისხილის რტოებით აჯილდოებდნენ. მაგრამ საბერძნეთში რომაელების გაბატონების შემდეგ ამ მეტად პოპულარულ, ყოველმხრივ საინტერესო ასპარეზობას თანდათან დაეკარგა ელფერი, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვით 393 წელს იმპერატორმა თეოდოსიმ საერთოდ აკრძალა ოლიმპიადების ჩატარება.

და აი, 15 საუკუნის შემდეგ კვლავ აღორძინდა და 1896 წლის 5 აპრილს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გაიმართა I ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 13 ქვეყნის 285 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრება გაიმართა 9 სახეობაში. ახლა უკვე XIX ოლიმპიადის მიჯნაზე ვართ, რომელიც მეხიკოში ჩატარდება.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების თაოსანი და ორგანიზატორია ფრანგი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პიერ დე კუბერტენი.

**2. დედამიწის უმაღლესი მწვერვალია ჯომოლუნგმა (8848 მ ზღვის დონიდან). იგი პირველად დაიპყრეს ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარმა და შერპმა ნორგეი თენსინგმა 1953 წლის 29 მაისს 11 საათსა და 30 წუთზე.**

ჯომოლუნგმა ადგილობრივ ტომთა ენაზე „ღმერთების ცისქვეშა სამყოფელს“ ნიშნავს. ადრე მწვერვალი ევერესტის სახელით იყო ცნობილი. ეს სახელი ჯომოლუნგმას ინგლისელებმა უწოდეს ინდოეთის შემსწავლელი გეოდეზიური კომიტეტის პრეზიდენტის, ინგლისელი ოფიცრის ჯორჯ ევერესტის (1790-1866) პატივსაცემად. დედამიწის უმაღლესი მწვერვალი მდებარეობს ჰიმალაის მთებში, ნეპალისა და ჩინეთის საზღვარზე. XX საუკუნეში, სხვადასხვა ქვეყნის ექსპედიციების მრავალი უშედეგო ცდის შემდეგ, ჯომოლუნგმაზე პირველად შედგეს ფეხი ინგლისური ექსპედიციის წევრებმა (ხელმძღვანელი ჯონ ჰანტი) ჰილარმა და თენსინგმა. ჟანგბადის ნაკლებობის გამო მთამსვლელებმა მხოლოდ 15 წუთი დაჰყვეს მწვერვალზე (ლიტერატურაში გვხვდება ჯომოლუნგმას სიმაღლის განმსაზღვრელი სხვა ციფრებიც — 8882 და 8888 მ).

**3. გარდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისა, სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში საქართველოს კიდევ 3 გუნდი თამაშობდა: თბილისის „ლოკომოტივი“ (1938 წ.), თბილისის „სპარტაკი“ (1950-51 წ. წ.) და ქუთაისის „ტორპედო“ (1962 წლიდან დღემდე).**

1938 წელს უმაღლეს ლიგაში 26 გუნდი თამაშობდა და ჩემპიონატი ერთ წრედ ჩატარდა. თბილისის „ლოკომოტივმა“ 15 ქულით XXIV ადგილი დაიკავა და „ბ“ კლასში გადაინაცვლა. 1940 წელს „ლოკომოტივი“ კვლავ „ა“ კლასში იყო, მაგრამ შუა სეზონში გათამაშებიდან მოხსნეს და მისი შედეგები გააუქმეს.

1949 წელს მეორე ჯგუფის გუნდების ფინალურ ტურნირში (როსტოვი) გაიმარჯვა და უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისის „სპარტაკმა“. გუნდში თამაშობდნენ: გ. იოსელიანი, მ. პირაევი, ი. კატანოვი, ი. შუდრა, მ. გამყრელიძე, თ. გუგუნავა, ი. და ა. ბურჭულაძეები, ვ. ლომაია, ა. პაიჭაძე, კ. და ნ. გაგნიძეები, რ. ოსაძე, ზ. ქვარიანი, ა. კილაძე, ა. იუნანოვი, ვ. გვარამაძე, ტ. ეპიტაშვილი (მწვრთნელი ა. ჟორდანია). სპარტაკელებმა „ა“ კლასში ითამაშეს 1950 (IX ადგილი) და 1951 (XIV) წლებში.

1962 წლიდან უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის მტკიცედ დამკვიდრდა ქუთაისის „ტორპედო“.

**4. სიმაღლეზე ხტომაში რომის XVII ოლიმპიური თამაშების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები ვაჟთა შორის იყვნენ რ. შავლაყაძე, ვ. ბრუმელი (ორივე — სსრ კავშირი) და ჯ. თომასი (აშშ).**

1960 წელს რომის „ფორო იტალიკოს“ სტადიონი მოწმე გახდა ქართული მძლეოსნობის ტრიუმფისა: „ოლიმპიადის სენსაცია № 1“ — ასე მოინათლა შავლაყაძის დიდი წარმატება. საბჭოთა მძლეოსნების გამარჯვებას ამერიკელებთან — დიუმასსა და თომასთან ბრძოლაში არავინ მოელოდა.

რობერტ შავლაყაძემ პირველი სიმაღლე (195 სმ) გამოტოვა, მეორე სიმაღლე (200 სმ) მეორე ცდით დაძლია, ხოლო ყველა დანარჩენი სიმაღლე (203, 206, 209, 212, 214, 216) პირველივე ცდაზე დაიმორჩილა (216 სმ — ოლიმპიური რეკორდი იყო). ბრუმელმა ბოლო 4 სიმაღლე მხოლოდ მეორე ცდით აიღო, ხოლო ჯ. თომასმა ბოლო სიმაღლე (216) საერთოდ ვეღარ დაძლია.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში შავლაყაძე იყო პირველი სპორტსმენი, რომელმაც აღნიშნულ სახეობაში ოქრო მოუტანა ევროპელებს.

**5. საბჭოთა ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატში (VI, შვეცია) პირველად 1958 წელს მიიღეს მონაწილეობა და IV ქვეჯგუფში ასეთი შედეგები მოიპოვეს: პირველი შეხვედრა ინგლისელებთან 8 ივნისს ფრედ (2:2) დაამთავრეს, მეორე მატჩში 11 ივნისს სძლიეს ავსტრიელებს (2:0), ხოლო 15 ივნისს ბრაზილიელებთან (მომავალ ჩემპიონებთან) დამარცხდნენ (0:2). 17 ივნისს ჩვენმა გუნდმა მეოთხედფინალის საგზურისთვის დამატებითი შეხვედრა მოუგო ინგლისელებს — 1:0.**

19 ივნისს სსრ კავშირის ნაკრებმა მეოთხედფინალური შეხვედრა წააგო შვეციის ფეხბურთელებთან (0:2) და შეჯიბრებას გამოეთიშა. შვეციის ჩემპიონატის მატჩებს საბჭოთა გუნდი ატარებდა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი, კესარევი, კრიჟევსკი, ბ. კუზნეცოვი, ვოინოვი, ცარიოვი, ნეტო, ა. და ვ. ივანოვები, სალნიკოვი, სიმონიანი, აპუხტინი, ფალინი. (მწვრთნელი გ. კაჩალინი).

**6. ქალთა შორის მსოფლიოს პირველ ჩემპიონს ჭადრაკში — ვერა მენჩიკს ქართველ მოჭადრაკეთაგან ვიქტორ გოგლიძე შეხვდა. ეს მოხდა 1935 წელს მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირში.**

აღნიშნულ ტურნირში 20 მოჭადრაკე მონაწილეობდა: უცხოეთიდან — ლასკერი, კაპაბლანკა, ფლორი, ლილიენტალი (შემდგომში ამ ორმა საბჭოთა ქვეშევრდომობა მიიღო), შპილმანი, შტალბერგი, პირცი, მენჩიკი, სსრ კავშირიდან — ბოტვინიკი, რომანოვსკი, ლევენფიში, რაბინოვიჩი, ალატორცევი, გოგლიძე, ლისიცინი, ჩეხოვერი, რაგოზინი, რიუმინი, ბოგატირჩუკი, კანი. I-II ადგილები 13-13 ქულით გაიყვეს ბოტვინიკმა და ფლორმა. გოგლიძემ მოაგროვა 9,5 (გაიყო XI-XIV ადგილები), ხოლო მენჩიკმა — 1,5 ქულა (ბოლო ადგილი). ისინი V ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრა ხანმოკლე გამოდგა და უკვე მე-19 სვლაზე გაიმარჯვა ქართველმა ოსტატმა.

**7. საქართველოს კალათბურთელთა გუნდები სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულს ფლობდნენ: 1944, 1946, 1950, 1953 და 1954 წლებში (სულ ახლახან მათ კიდევ ერთხელ მოიპოვეს ჩემპიონობა), ხოლო სსრ კავშირის თასს — 1949, 1950 და 1951 წლებში (მას შემდეგ თასი აღარ გათამაშებულა).**

პირველად ჩემპიონობა 1944 წელს დაისაკუთრეს თბილისის წითელი არმიის სახლის კალათბურთელებმა (ლ. ძეკონსკი, ნ. ჯორჯიკია, მ. ფილიპოვი, ბ. სარქისოვი, ს. ოგანეზოვი, მ. ერმაკოვი, გ. ზახლიანი. მწვრთნელი — გ. მეუნარგია). 1946 წელს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის სპორტსმენები კვლავ I ადგილზე არიან (გ. გუპალოვი, გ. ახვლედიანი, მ. ფილიპოვი, ბ. სარქისოვი, ლ. ძეკონსკი, ნ. ჯორჯიკია, ს. ოგანეზოვი, ა. ვაჩაძე, ო. სულაბერიძე. მწვრთნელი — გ. მეუნარგია).

1950, 1953 და 1954 წლებში ჩემპიონის ტიტულის მფლობელია საქართველოს მეორე გუნდი — თბილისის „დინამო“. ოქროს სამივე მედლის კავალრები არიან ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ჯ. ნიჟარაძე, ვ. ჟღენტი და ლ. ინწკირველი. ამ წლებში „დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ, აგრეთვე: დ. გოძიაშვილი, შ. ქორქაშვილი, ა. მესხი, ს. თორთლაძე, გ. რუხაძე, გურამ და გივი აბაშიძეები, ვ. გვანცელაძე, მ. ეგანოვი, ა. კილაძე, გ. მინაშვილი, მ. კვაჭანტირაძე, გ. კუჭავა, მ. ასიტაშვილი. (მწვრთნელი გ. ავალიშვილი).

**8. მსოფლიოში ყველაზე დიდი სტადიონია „მარაკანა“ (1966 წელს სტადიონს დაერქვა „მარიო ფილჰო“, მაგრამ ახალმა სახელწოდებამ ფეხი ვერ მოიკიდა). იგი ბრაზილიის ყოფილ დედაქალაქ რიო-დე-ჟანეიროშია.**

რიო-დე-ჟანეიროს ეს გიგანტი ბრაზილიელებმა საგანგებოდ ააგეს ფეხბურთელთა 1950 წლის IV მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მშენებლობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ არქიტექტორები პედრო ბერნარდოს ბასტოსი და ანტონიო დიას კარნეირო, 1949 წელს დამთავრდა. სტადიონზე 155.000 დასაჯდომი ადგილია, სულ კი „მარაკანა“ 200.000 კაცზე ცოტა მეტს იტევს.

**9. ძალოსან ლ. ჟაბოტინსკის მსოფლიო რეკორდი სამჭიდის ჯამში უდრის 590 კგ-ს (200+172,5+217,5).**

მსოფლიო რეკორდი შესანიშნავმა საბჭოთა სპორტსმენმა 1967 წელს სოფიაში დაამყარა.

**10. მარათონული დისტანცია უდრის 42 კმ-სა და 195 მეტრს. რბენაში ამ ყველაზე გრძელ დისტანციას მარათონული ეწოდა იმ დაბის პატივსაცემად, სადაც 490 წელს (ჩვენს ერამდე) გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა საბერძნეთისა და სპარსეთის მეომრებს შორის.**

გამარჯვებულმა ბერძნებმა მარათონის ველიდან თავიანთ დედაქალაქ ათენში გაგზავნეს მეომარი ფეიდიპიდესი, რომელმაც სირბილით გაიარა მთელი გზა, ათენელებს გამარჯვების ამბავი ამცნო და იქვე, ქალაქის მოედანზე, სული განუტევა. შემდეგში მანძილი მარათონიდან ათენამდე დაზუსტდა, განიცადა ცვლილება და დღეს იგი საასპარეზო დისტანციის საზომია.

I ოლიმპიადაში მარათონულ რბენაში მონაწილეობდა 25 სპორტსმენი (მათგან 21 მასპინძლების წარმომადგენელი იყო). ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბერძენმა სპიროს ლუისმა — 2:58.50,0.

მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მარათონელები დღეისთვის არიან: კლეიტონი (ავსტრალია) — 2:09.34,2, სასაკი (იაპონია) — 2:11.17,0, რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ჩემპიონი ბიკილა (ეთიოპია) — 2:12.11,2.

* * *

კონკურსის ლიდერთა გვარებს გამოვაქვეყნებთ მეორე სერიის კითხვებთან ერთად.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03226